ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N56

23.09.2025 წელი
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ოთარ გრიგოლია** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის სამომავლო გეგმების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა";

მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის სამომავლო გეგმების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ ინფორმაციას ქალაქში მიმდინარე და დასრულებული, სპორტული და ახალგაზრდული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლებაში დასრულდა მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა და აღჭურვა, რომელიც სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ, ყოველთვიურად, 10 000-მდე მოქალაქეს მოემსახურება, 26 სექტემბერს იგეგმება ცენტრის გახსნა, გახსნის შემდეგ ცენტრი გარკვეული პერიოდი იმუშავებს სატესტო რეჟიმში. პროექტის ფარგლებში, მოეწყო საკალათბურთო დარბაზები, ორი საცურაო აუზი, მედიათეკა, ტანვარჯიშის, ჭიდაობისა და სპორტის სხვა სახეობების დარბაზები. მალე გარე პერიმეტრზეც დასრულდება მიმდინარე სამუშაოები , სადაც მოეწყობა საფეხბურთო და პადელის მოედნები. ცენტრი გახლავთ ჩვენს მიერ აშენებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი ობიექტი, რომელიც მდებარეობს 11,000 კვ. მ ფართობზე. რაც შეეხება დიდ ლილოში მდებარე სპორტულ ცენტრს, აქ სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა და ველოდებით ინვენტარით მოწყობას, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას აქვს გარკვეული ვადები, აღჭურვის პროცესი გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს. ისნის რაიონში „ოლიმპიკის“ საცურაო აუზის სიახლოვეს მიმდინარეობს დიდი რეკრეაციული სივრცის „სპორტული ეზოს“ სამშენებლო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის განკუთვნილი გარე გამოყენების მოედნები, მიმდინარე წლის ბოლოსთვის ველოდებით ობიექტზე სამუშაოების დასრულებას.

ვერის პარკში მიმდინარეობს ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია, აღნიშნულ ობიექტზეც წლის ბოლომდე ველოდებით პროცესის დასრულებას. ეს გახლავთ ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მიმდინარე წელს გაიხსნება და აქტიურად დაიტვირთება. რაც შეეხება მოქმედ სპორტულ და ახალგაზრდულ ობიექტებს, აქაც გვაქვს გარკვეული სარემონტო თუ სხვა სახის სამუშაოები, რომელიც ზაფხულის პერიოდში მიმდინარეობდა, უმეტესობა დასრულდა და ეს ობიექტებიც სრული დატვირთვის განაგრძობენ ფუნქციონირებას.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მოგეხსენებათ ველოდებით დიღმის მასივში, ყოფილი საცურაო აუზის ტერიტორიაზე, თბილისში ყველაზე დიდი მრავალფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას, აღნიშნული ობიექტი დიდი დიღმის და ვარკეთილის მრავალფუნქციურ ცენტრებზე გაცილებით მასშტაბური იქნება, როგორც ფართობით, ასევე ბენეფიციართა გამტარუნარიანობით. ასევე დგებუაძის ქუჩაზე მიმდინარეობს თანამედროვე, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და სპორტული სივრცის მოწყობა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ჩუღურეთის მაცხოვრებლებისთვის და ყველა თბილისელისთვის.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ოთარ გრიგოლია - გლდანის სპორტული კომპლექსის სარემონტო სამუშაოებიც დასრულდა? დიღმის მასივში, რომ უნდა აშენდეს მულტიფუნქციური ცენტრი რა ეტაპზეა?

ირაკლი გვილავა - დიახ, გლდანის და თემქის აუზი, ასევე მუხიანის სარაგბო ბაზა სრული დატვირთვით მუშაობს, ზაფხულის პერიოდში ობიექტებზე მიმდინარეობდა გარკვეული ტიპის სარემონტო სამუშაოები. დიღმის მასივში, ძველი საცურაო აუზის ტერიტორიაზე მოეწყობა მულტიფუნქციური ცენტრი. საპროექტო სამუშაოები შესყიდულია, ველოდებით სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპის დაწყებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის სამომავლო გეგმების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე